იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთას საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2015 წლის 30 სექტემბერს, გაიმართა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთას საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი ტოშიო კაიტანი, ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი ტომაშ პერნიცკი, იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე, ბ-ნი პაატა ნადირაძე, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა აიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის მიერ. პროექტის ფარგლებში სოფელ ჯალაურთას საბავშვო ბაღის მშენებლობა დაფინანსდა იაპონიის მთავრობის მიერ. ჩეხეთის მთავრობამ დააფინანსა ბაღისთვის ავეჯის, საჭირო ინვენტარის და სათამაშოების შეძენა. ამ პროექტისთვის გრანტის ოდენობა 90,347 ა.შ.შ. დოლარია.

.